ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 26 თებერვალი, 2020 №47 (8311) ფასი: 60 თეთრი

თბილისში 18 წლის ბიჭი დედისა და ბებიის მკვლელობისთვის დააკავეს

გვ.5

25 თებერვლიდან

მამა გაბრიელი – 90

პირველთა შორის უკანასკნელი



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„მელიას დაჭერა „ოცნებისთვის“ თავის აფეთქება იქნება“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „შესაძლოა, სამთავრობო ცვლილებებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მიაყოლონ“

„ოპოზიციას თბილისში გამარჯვება უფრო გაუადვილდება, ვიდრე რეგიონებში“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „4 აპრილის მიტინგზე იმედების დამყარება არასწორია“

გიგლა ბარამიძე: „ოპოზიცია მაჟორიტარებად მაღალი რეიტინგის ხალხს დავასახელებთ“

გვ.4

„ჩვენ კვოტებს არ გადავინაწილებთ“

ოპოზიცია მაჟორიტარების საერთო სიაზე მუშაობს

„ეს აუცილებელია, რომ მაჟორიტარები „ოცნებამ“ ხელისუფლების უზურპაციისათვის ვერ გამოიყენოს“

გვ.2

მიხეილ კალანდია 11 წელი და 3 თვე მიესაჯა



გვ.2

გვ.4

„აზერბაიჯანმა დავითგარეჯის ტერიტორია უნდა დატოვოს“

ნიკოლოზ მჟავანაძე აზერბაიჯანის საელჩოსთან აქციას აწყობს

ISSN 1987-9385

3 რატომ მყარდება ლარი

6 102 წლის მოხუცმა სახლში შეჭრილი მძარცველის მოგერიება შეძლო

5 ლიდერფუდის ბულალტერმა კომპანიის 2 მილიონი კაზინოში წააგო

6 ტრამპი კორონავირუსთან საბრძოლველად 2,5 მილიარდს ითხოვს

მიხეილ კალანდიას 11 წელი და 3 თვე მიესაჯა

გუშინ, 25 თებერვალს, სასამართლომ მიხეილ კალანდია დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირა და საბოლოოდ სასჯელის სახით 11 წელი და 3 თვე შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილმა გამოაცხადა.

ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 2017 წლის 1 დეკემბერს დაჭრეს. ლევან დადუნაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, დავით სარალიძე კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მომხდარიდან მალევე სამართალდამცავებმა დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის საქმეზე გიორგი ჯანაშია, ლევან დადუნაშვილის მკვლელობის საქმეზე კი გუგა ბარბაქაძე დააკავეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ჯანაშიას 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გუგა ბარბაქაძეს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარემ გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა. კერძოდ კი, გიორგი ჯანაშია დამნაშავედ ცნეს დავით სარალიძის მკვლელობაში ჯგუფურად, სხვა პირთან ერთად. მას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა. რაც შეეხება გუგა ბარბაქაძეს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას მონაწილეობა არ მიუღია დავით სარალიძის მკვლელობაში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლევან დადუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით და დამნაშავედ ცნო გუგა ბარბაქაძე. მას სასჯელი დაუმძიმდა და თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა როგორც დაცვის მხარემ, ასევე ბრალდების მხარემ.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ გიორგი ჯანაშიასთან მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა. გიორგი ჯანაშიას 11 წლითა და 3 თვით მისჯილი წლებიდან საბოლოოდ, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 4 წელს პენიტენციარულ დაწესებულებაში მოიხდის, დანარჩენი 4 წელი კი პირობითად ჩაეთვლება. მისჯილი წლებიდან გიორგი ჯანაშიას 2 წელი უკვე მოხდილი აქვს, შესაბამისად, ის პენიტენციარულ დაწესებულებას 2021 წელს დატოვებს.

რაც შეეხება ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძეს, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა და ის მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. ბარბაქაძეს სასჯელიც უცვლელი დარჩა, მას 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული.

დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა მიხეილ კალანდია 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

❖ ❖ ❖

მოსამართლის მიერ განაჩენის გამოცხადებას დარბაზში კალანდიას ოჯახის წევრების მხრიდან ხმაური მოჰყვა. დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლემ დამსწრეებს სხდომათა დარბაზი დაატოვებინა.

მიხეილ კალანდიას მამამ თენგიზ კალანდიამ მისი შვილის მიმართ გამოტანილ განაჩენს პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა.

– „ოცნებამ“ თავისი გაფუჭებული საქმე ვერ გამოასწორა და ჩემს შვილს შეტანა ყველაფერი. აქ იყო სერგი კაპანაძის, „ევროპული საქართველოს“ და „ოცნების“ ინტერესი. აუცილებლად წავალთ სტრასბურში. ყველაზე ადვილად ჩვენზე იყო ხელი შესახოცი, კალანდიებზე. სუბელიანის ინტერესი არანაირი არ იყო აქ. აქ იყო „ევროპული საქართველოს“ ინტერესი. არანაირი ინტერესი არ ჰქონია სუბელიანს ამ საქმეში.

რა დავალებაც ჰქონდა მოსამარლეს, ის შეასრულა. ზაზა სარალიძემ 2 კვირის წინ გააჟღერა, 15 წელზე მეტს არ მიუსჯიანო და ეს შეასრულეს. ჯოჯოხეთში რომ მომიწიოს გავლა, გავივლი და ბევრსაც წავათრევ კიდევ იმ ჯოჯოხეთში, – განაცხადა თენგიზ კალანდიამ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ოპოზიცია მაჟორიტარების საერთო სიაზე მუშაობს

„ეს აუცილებელია, რომ მაჟორიტარები „ოცნებამ“ ხელისუფლების უზურპაციისათვის ვერ გამოიყენოს“

გაერთიანებული ოპოზიცია მაჟორიტარობის კანდიდატებზე შეთანხმებას აპირებს.

ხელისუფლების ოპონენტები აცხადებენ, რომ მმართველი გუნდი, რომელიც საარჩევნო სისტემის შეცვლას არ აპირებს, ერთიანი ძალებით არსებული სისტემის პირობებშიც უნდა დაამარცხონ. ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერი მაჟორიტარულ ოლქებში საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა მელია აცხადებს, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, თუ რომელ მაჟორიტარულ ოლქში იყრის იგი კენჭს. მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს საერთო კონსენსუსის საფუძველზე.

– პირადად მე რამდენიმე ოლქზე ვფიქრობ და კოლეგებსაც ვესაუბრები. რამდენიმე ასეთი ოლქი არის თბილისში. რაიონი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მთაწმინდის რაიონი შესაძლებელია იყოს. შესაძლებელია ასევე თბილისის სხვა ოლქი იყოს, შესაძლებელია იყოს ზუგდიდი, მცხეთა. მე ხუთ ოლქზე მაქვს ფიქრები გაშლილი, მაგრამ ეს არ იქნება ჩემი პირადი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ საერთო კონსენსუსის საფუძველზე. თუკი ოპოზიციას ეყოლება საერო ძლიერი კანდიდატი და ვიცი, რომ პირობითად ძლიერი კანდიდატი ეყოლება მთაწმინდის ოლქში, რა თქმა უნდა, მე მთაწმინდის ოლქში კენჭს არ ვიყრი, – განაცხადა ნიკა მელია..

"„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ როდესაც მიდის მოლაპარაკებები ოპოზიციასთან, აუცილებელია კოორდინაცია და, თუ იქნება კოორდინაცია მაჟორიტარებზე, ეს ყველაფერი აუცილებელი და საჭიროა.

– მაჟორიტარების თაობაზე მოლაპარაკებები და კოორდინირება არის გეგმა „ბე“, რომელიც, ვფიქრობ, რომ მაინც მას შემდეგ უნდა იყოს აქტიურად განხილული, როდესაც გაირკვევა, თუ რით მთავრდება ეს მოლაპარაკებები, მაგრამ გარკვეული კოორდინირება იქნება აუცილებელი, აუცილებელი იმისთვის, რომ მაჟორიტარების ფაქტორი ხელისუფლებამ ვერ გამოიყენოს ხელისუფლების უზურპაციისათვის.

ჩემი ამოცანა არის იმაში, რომ ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მომავალში ვეღარ შეძლოს ხელისუფლების უზურპაცია, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამბობს, რომ ოპოზიციის შეთანხმებამ აზრი დაუკარგა ივანიშვილის ავანტიურას.

– პრაქტიკულად მიღწეულია საერთო ოპოზიციური შეთანხმება მაჟორიტარული ბლოკის შექმნაზე, რამაც აზრი დაუკარგა

ივანიშვილის ავანტიურას, არ ჩაეტარებინა პროპორციული არჩევნები. ფაქტობრივად გამოვიდა, რომ შევქმენით ისეთი ბლოკი, რომლის საშუალებითაც პარლამენტში წარმოდგენილი იქნება მრავალპარტიული პოლიტიკური სპექტრი და თანაც ძირითადად ცნობილი ლიდერების დონეზე. მეც, რა თქმა უნდა, მათ რიგში ვარ, ოღონდ სად, ჯერჯერობით არ ვიცი, – აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

„მთავარის“ ინფორმაციით, თბილისში მაჟორიტარობის სავარაუდო კანდიდატები იქნებიან: შალვა ნათელაშვილი, დავით ბაქრაძე, ნიკა მელია, გიორგი ვაშაძე, ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე, ზაალ უდუმაშვილი.

❖ ❖ ❖

უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების ვადა იწურება. საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისათვის 4 დღე რჩება. ოპოზიცია არ ეთანხმება შეთავაზებულ მოდელს 100/50ზე, მმართველი პარტიისთვის კი მიუღებელია ოპოზიციის გერმანულ მოდელზე დაფუძნებული ცვლილებები. ოპოზიციაში აცხადებენ რომ პროპორციული არჩევნების, პოლიტიკური დევნის შეწყვეტის და პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე დიალოგი წარმოუდგენელია.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია ამბობს, რომ ხელისუფლებას გონივრული კომპრომისის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდა, თუმცა მისი გამოყენების ნაცვლად რეპრესიები დაიწყო.

– რა არის მოსალაპარაკებელი, ყველაფერი ცნობილია, თუ რამე გადაწყვეტილება აქვთ ამის შეტყობინების, საჯაროდ ან არასაჯაროდ, უამრავი გზა არსებობს. ეს რაღაც ჩაციკვლა, პიარი რომ ააგეს კლასიკურ სტილში, რომ „ჩვენ მოლაპარაკებისთვის მზად ვართ“, ვინ ჭამს ამას?

მოლაპარაკებები რომ სდომებოდათ, უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ გონივრული კომპრომისის და რეპრესიები არ უნდა დაეწყოთ. უგულავა ხომ იმიტომ დაიჭირეს, რომ მოლაპარაკებები არ უნდათ და ბრიყვული ილუზია აქვს ივანიშვილს, რომ ხალხის გადაგდების პირობებში რეპრესიებით დააშინებს პროტესტს და შეინარჩუნებს ძალაუფლებას, – განაცხადა ბოკერიამ.

„ლელოს“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე მიიჩნევს, რომ ბურთი ხელისუფლების მხარეზეა.

– ბურთი არის ხელისუფლების მხარეს, არანაირი მოპატიჟება, რომ ვიღაცამ მაგიდა ააყირავა, ვიღაცა წავიდა და ა.შ. ამაზე საუბარიც კი არ ღირს იმიტომ, რომ თემა არის ძალიან მარტივი, თუ მათ უნდათ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, მათ შეუძლიათ დაარეგისტრირონ კანონი და შეიტანონ პარლამენტში და შესთავაზონ ოპოზიციას ის მოთხოვნები, რომლებიც გამოიყვანს ქვეყანას ამ პოლიტიკური ჩიხიდან, – აღნიშნა მამუკა ხაზარაძემ.

ნაციონალური მოძრაობის წევრი ზაალ უდუმაშვილი აცხადებს, რომ მმართველ გუნდს ოპონენტებზე პოლიტიკური ნადირობა აქვს გამოცხადებული და ამ პირობებში მოლაპარაკებაზე საუბარი შეუძლებელია:

– არანაირ მოლაპარაკებებზე საუბარი არ არის მანამ, სანამ პოლიტიკური პარტიის ლიდერები არიან ტყვეობაში, მათ მისჯილი აქვთ პატიმრობა, ნაწილის მიმართ მიმდინარეობს სამართლებრივი დევნა და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ არანაირ მოლაპარაკებას „ქართულ ოცნებასა“ და ხელისუფლებასთან, ვიდრე პოლიტიკური ნადირობაა გამოცხადებული, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს მმართველ გუნდს.

„ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციამ რადიკალური პოზიცია აირჩია და უფრო რევოლუციური მიზნებისკენ ცდილობს სიტუაციის წაყვანას. ამის მიუხედავად, სესიაშვილი იმედოვნებს რომ კომპრომისულ ვერსიაზე ოპოზიციასთან შეჯერება მაინც მოხდება.

– მე ვხედავ რაღაც რადიკალურ პოზიციებს, რომლებიც არაა ორიენტირებული იმ შედეგზე, რომ ქვეყანაში თავისუფალ მშვიდობიან რეჟიმში ჩატარდეს არჩევნები, ამიტომ მე მეჩვენება, რომ ჩვენი ოპონენტები უფრო რაღაც რევოლუციური მიზნებისკენ ცდილობენ სიტუაციის წაყვანას. ვიტოვებ იმედს, რომ ოპოზიციასთან ერთად მოხერხდება კომპრომისულ ვერსიაზე შეჯერება, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

საქართველოში კიდევ ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უქმდება

1 წლის განმავლობაში ბაზარი 21-მა მისო-მ დატოვა

საქართველოში კიდევ ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უქმდება. ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტის 17 თებერვლის განკარგულებაშია აღნიშნული.

კერძოდ, საუბარია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ – ჯი ეფ სის-ზე“.

განკარგულების თანახმად, გაუქმდა მისი, როგორც მისო-ს რეგისტრაცია და დაიწყო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი.

„ეს განკარგულება გამოცემიდან 10-დღიან ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე, გაეგზავნოთ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრსა და ადგილობრივი საგადახდო სისტემის ოპერატორს, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენდა ამ საგადახდო სისტემის მონაწილეს.

აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში“, – ნათქვამია განკარგულებაში.

2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა რიცხვი თითქმის ყოველთვიურად მცირდება, რაზეც ეროვნული ბანკის სტატისტიკაც მეტყველებს.

კერძოდ, როგორც ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა აღნიშნული, 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში 65 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული, თებერვლის მონაცემებით – 63 მისო; მარტ-აპრილში – 61; მაისში კი 58 მისო ფუნქციონირებდა; ივნისში ქვეყანაში უკვე 56 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული, ივლისში – 55; აგვისტოში – 53, სექტემბერში – 52; ოქტომბერში – 50; ნოემბერში – 48; დეკემბერში – 48, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით მათი რიცხვი 46-ს შეადგენს, ხოლო 24 თებერვლის მდგომარეობით 45 ერთეულს, სადაც არ შედის „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ – ჯი ეფ სის“.

შედეგად გამოდის, რომ 2019 წლის იანვრიდან დღემდე ბაზარი უკვე 21-მა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დატოვა.

ქუთაისში ინფექციურში მოთავსებულ 20 წლის გოგონას კორონავირუსი არ დაუდგინდა

ქუთაისში ინფექციურ საავადმყოფოში მოთავსებულ 20 წლის გოგონას კორონავირუსი არ აღმოაჩნდა.

ლუგარის ლაბორატორიაში გაგზავნილი ანალიზების პასუხი გუშინ, 25 თებერვალს, გახდა ცნობილი.

როგორც კლინიკის ექიმი თემურ ნადირაძე აცხადებს, პაციენტს, რომელიც აეროპორტიდან შეიყვანეს, H1N1 ვირუსი დაუდგინდა.

პაციენტი ბოქსირებულ პალატაში რჩება. მისი მდგომარეობა სტაბილურია. მას ჩვეულებრივ პალატაში დღეს გადაიყვანენ.

მილანიდან ჩამოსული მგზავრი კლინიკაში ტემპერატურით 24 თებერვალს შეიყვანეს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ალაფიშვილი: „მელიას დაჭერა „ოცნებისთვის“ თავის აფეთქება იქნება“

„შესაძლოა, სამთავრობო ცვლილებებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მიაყოლონ“

იაგო ნაცვლიშვილი

საზოგადოება გაზაფხულის მოლოდინშია – საქართველოს მოქალაქეები ელოდებიან მორიგ სამთავრობო კარუსელს, შეცვლის თუ არა ბიძინა ივანიშვილი მორიგ ჯერზე პრემიერს და შეცვლის თუ არა პრემიერის პოსტზე გიორგი გახარიას სუს-ის უფროსი გიორგი ლილუაშვილი.

ელის თუ არა სამთავრობო ცვლილებებს, რატომ ჰგონია, რომ, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, ფიქრობს თუ არა, რომ ოპოზიციის კიდევ ერთ ლიდერს დაიჭერენ და ნიკა მელიაც გიგი უგულავას გზას გაუყვება? – ამ საკითხების ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს.

– გავრცელდა ინფორმაცია სამთავრობო ცვლილებებზე. რამდენად მოსალოდნელი გგონიათ ეს და ფიქრობთ თუ არა, რომ ივანიშვილი გახარიას შეცვლის?

– საარჩევნო წელია და უკვე საარჩევნო პერიოდია, ამასთანავე, არის მძიმე სოციალური ფონი, ბოლოდროინდელი მოვლენების თუ გადაწყვეტილებების გამო მთავრობა ხელს უწყობს და ახალისებს საზოგადოებაში ისეთი საკითხების გაჩენასა და მათ კულტივირებას, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან ამ საკითხებზე გადატანას მთლიანად ან ნაწილობრივ, მეორე მიზანიც შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს, კერძოდ ის, რომ მოისინჯოს ნიადაგი, რამდენად შეიძლება, საფუძვლიანი იყოს ის ვერსია, რომ მთავრობის ცვლილებას მიაყოლონ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

ახალ საპარლამენტო მოდელში მთავრობის ვერ თუ არდამტკიცების საკითხიც არის შეტანილი, ანუ კრიზისის გზით შესაძლებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. რამდენად საფუძვლიანია, ამაზე პასუხი რთულია. მაგრამ, რადგანაც ვხედავთ მმართველი გუნდის მოქმედებებს, აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ. მხოლოდ კაბინეტის ცვლილებით ან მასში ახალი ფიგურის შემოყვანით არც ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას არ გამოიწვევს, საზოგადოებაში გაჩენილ ტენდენციებს ადეკვატურად ვერ უპასუხებს და, შესაბამისად, არასასურველი შედეგები იქნება როგორც პოლიტიკური, ასევე ელექტორალური თვალსაზრისით.

– თუმცა ახლა ვადამდელი არჩევნები რაში შეიძლება აწყობდეს „ქართულ ოცნებას“?

– მარტივი არითმეტიკით ავხსნი. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში უდიდესი პასუხისმგებლობა სწორედ მთავრობას ეკისრება, ამიტომ მცირდება მისი მხარდაჭერა. სხვადასხვა წყაროდან ეს დასტურდება. მოცემულობა ასეთია, რომ მეორე საპარლამენტო ვადა ყველა ხელისუფლებისთვის არის ძალიან დიდი ნეგატივის მატარებელი და ეს ნეგატივი მეორე საპარლამენტო ვადის ბოლოში უგროვდება. გარდა მაგისა, შემოდგომამდე, როდესაც არჩევნების გამართვის თარიღი გათვალისწინებულია კონსტიტუციით, ეს თარიღები კიდევ დაემატება. დამძიმდება პოლიტიკური ფონი, მოდის გაზაფხული, როდესაც, როგორც წესი, იმატებს პოლიტიკური ტემპერატურა.

შემოდგომამდე მმართველი პოლიტიკური გუნდი რომ მივიდეს, შესაძლებელია, გაღრმავდეს პრობლემები ან ახალი თემები გაჩნდეება, რომლებიც ნეგატიურად იმოქმედებს მმართველ პოლიტიკურ ძალაზე. ეს თავისთავად მის მხარდაჭერას შეამცირებს. სანაცვლოდ მისი ოპონენტები უფრო გაძლიერდებიან, რადგან დრო ექნებათ.

ყველაზე ოპტიმისტური სცენარით შეიძლება მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ შემოდგომაზე აიღოს 62 მანდატი, მაგრამ, თუ დრო ოპოზიციის სასარგებლოდ არ იმუშავებს და დღეს ჩატარდება არჩევნები, უფრო სწორად, გაზაფხულზე და თუ, ვთქვათ, ახლა აიღებს 65 მანდატს, რა თქმა უნდა, რაციონალური გათვლა იქნება, რომ მიღირს ეს და ჯობს, ავიღო 65 მანდატიო. ცხადია, ეს არ არის ზუსტი რიცხვები, მაგრამ მე ვსაუბრობ ლოგიკაზე, თუ რატომ შეიძლება უღირდეს ვადამდელი არჩევნები, იმიტომ, რომ მას შეუძლია, დღეს მიიღოს იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე ამას მიიღებს შემოდგომაზე.

– რაც შეეხება ლილუაშვილის შესაძლო პრემიერობას, ეს რას ნიშნავს? რას მოუტანს მმართველ ძალას?

– გულწრფელად რომ გითხრათ, გიორგი ლილუაშვილთან პირადად მე საპარლამენტო ფორმატში შეხება მქონია, საკანონმდებლო ფორმატში შევხვდი მას. იმ საკითხებში, რომლებზეც კომიტეტში მოგვიწია ურთიერთობა, მას ჰქონდა საკმარისი კომპეტენცია და, შესაბამისად, იყო კონსტრუქციული, კომპეტენტური და გამოცდილებაც ჰქონდა, რომ მსჯელობა საგნობრივად წაგვემართა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მას აქვს საკმარისი მმართველობითი გამოცდილება – მენეჯერული, მით უმეტეს აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაზრისით. ვერ ვიტყვი, რომ მას აქვს ლიდერის ფუნქციები, იმიტომ რომ ლიდერობა ნიშნავს, გუნდის შიგნით, „ქართული ოცნების“ შიგნით თავს გრძნობდეს ლიდერად, ასევე თავის დამკვიდრებას პარლამენტში ლიდერობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, არა მგონია, გიორგი ლილუაშვილს ეს თვისებები ჰქონდეს.

თუ ის შეარჩიეს იმ მიზნით, რომ სახელმწიფო სამსახურშია და ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობას იკავებს, მერწმუნეთ, უშედეგო იქნება. რატომ, ამ კითხვაზე გიორგი გახარიას შემთხვევა გვარწმუნებს. გიორგი გახარია, განსხვავებით გიორგი ლილუაშვილისგან, უფრო დიდი და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი მსხვილი დაწესებულების ხელმძღვანელი იყო, ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება, ვინაიდან ის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი პირი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ის დამკვიდრებულიყო პარტიის, საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის გუნდში იმ ტიპის ლიდერად, რომელიც წარმართავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ეს, რა თქმა უნდა, მისი მთავრობის ფუნქციონირებაზე მოქმედებს.

– ის ფაქტი თუ მეტყველებს თქვენთვის რამეზე, რომ ლილუაშვილი სუს-ის ხელმძღვანელია?

– კვლავ ვიმეორებ, მას აქვს გამოცდილება, მაგრამ, არა იმდენი, რაც საკმარისია პრემიერობისთვის. გარდა მაგისა, ერთი რომელიმე უწყების, ამ შემთხვევაში სპეცსამსახურის, რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს, მაგალითად, მას არ აქვს შეხება ეკონომიკასთან თუ მაკროეკონომიკურ ნაწილთან, გარემოს დაცვასთან, იუსტიციასთან. მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში წარმატებული კარიერა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასევე წარმატებული შეიძლება იყოს სუს-ის ხელმძღვანელი მთავრობის პირველი პირის რანგში.

– ოპოზიცია სუს-ს უკავშირებდა იმას, რომ ის ერეოდა არჩევნებში. ამ ფაქტორიდან ხომ არ გამომდინარეობს ლილუაშვილის შესაძლო პრემიერობა?

– გულწრფელად რომ გითხრათ, ლოგიკას ვერ მივდევ მაგ კითხვიდან გამომდინარე, იმიტომ რომ, თუკი არჩევნებს დავუკავშირებთ სუს-ს, მაგ შემთხვევაში ლილუაშვილი სუს-ში უნდა შეინარჩუნო, იმისათვის, რათა საარჩევნო

შედეგი შენთვის მისაღები იყოს. ლილუაშვილის მთავრობის პირველ პირად გადმოსვლა თავისთავად ნიშნავს, რომ სუს-ში სხვა ვიღაც მივა. აქედან გამომდინარე, ლილუაშვილი სუს-ს კი აღარ გააკონტროლებს, არამედ ლილუაშვილი ჩაერთვება იმ პრობლემებში, რომლებიც მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის არის შექმნილი. გვინდა თუ არა, ფაქტია, რომ მისთვის მოცემულობა არის მძიმე და უარყოფითი. ასე რომ, ამ ლოგიკას ვერ მივყვები და ვერც ვიმსჯელებ მასზე, რადგან თუკი ვინმე ამას ფიქრობს, მიმაჩნია, რომ მათ ამაზე მსჯელობისთვის ცოტა მეტი არგუმენტაციის წარმოდგენა დასჭირდებათ.

– ნიკა მელიასთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ, რომლის სასამართლოც მარტის დასაწყისში გაიმართება? ელოდებით, რომ მასაც დაიჭერენ?

– ძალიან არაგონივრული ნაბიჯი იქნება, ამ მძიმე ფონზე და მით უმეტეს გიგი უგულავას დაჭერის შემდგომ საარჩევნო წელს შეხვდე მორიგი პოლიტიკური ოპონენტის დაჭერით. შესაბამისად, ამით გამოვა, რომ კიდევ უფრო დაიზიანებენ თავს, ეს თავის აფეთქება იქნება. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში, ბუნებრივია, ამ პროგნოზების გაკეთება წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი ხდება.

რატომ მყარდება ლარი

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ლარი დოლართან მიმართებით, თითქმის 5 პუნქტით გამყარდა. ეროვნული ბანკის მიერ 24 თებერვალს დადგენილი კურსით 1 დოლარი 2,8265 დოლარი ღირს. ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 14 თებერვალს, ერთი დოლარი 2,8741 ლარი ღირდა.

ეკონომიკის ექსპერტი აკაკი ცომაია ეროვნული ვალუტის გამყარების რამდენიმე ფაქტორს ასახელებს.

აღნიშნულ მიზეზებს შორისაა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება, იმპორტის შემცირება, ექსპორტის გაზრდა და აშ.

– ამის მიზეზი იყო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რომელიც შენარჩუნებულია. მეორე მიზეზია იმპორტის შემცირება და ექსპორტის გაზრდა, რამაც სავაჭრო ბალანსზე პოზიტიური გავლენა მოახდინა.

ამას ემატება ის ფაქტორი, რომ იანვარ-თებერვალში სავაჭრო ბრუნვა და, ზოგადად, ეკონომიკა დიდად აქტიური არ არის და ნაკლები რყევა გვაქვს ინვესტიციებში, დანაზოგებში და ზოგადად მოხმარებაში. შესაბამისად, სავალუტო ჯიხურებზეც აქტივობა ნაკლებია. სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობამ ნელ-ნელა ლარი გაამყარა, – განაცხადა აკაკი ცომაიამ.

იმის ალბათობა, რომ ლარი ისევ გაუფასურდება, საკმაოდ მაღალია.

– სამწუხაროდ, ეს ვითარება შესაძლოა, შეიცვალოს, რადგან გაიზრდება როგორც ეკონომიკური აქტივობა, ისე იმპორტი და ექსპორტი. ამას დაემატება, თუ რას იზამს ეროვნული ბანკი, ასევე, როგორ მოხდება სამთავრობო ხარჯების გადანაწილება ეკონომიკაში, როგორი იქნება ინვესტიციების ნაკადები და ა.შ. ამიტომ, შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ალბათობა ისევ მაღალია, რომ ლარი გაუფასურდება, – აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

„ოპოზიციას თბილისში გამარჯვება უფრო გაუადვილდება, ვიდრე რეგიონებში“

თორნიკე შარაშენიძე: „4 აპრილის მიტინგზე იმედების დამყარება არასწორია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ოპოზიციის ეკლექტურობა ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის. გამარჯვების შემთხვევაში, ოპოზიციის სიჭრელე მართლაც შეიძლება საფრთხე იყოს ამ მიმართულებით?

– კოალიციური მთავრობის პირობებში ასეთი საფრთხე ყოველთვის არსებობს, მაგრამ საქართველო ოდესღაც ხომ უნდა გადავიდეს მმართველობის ამ სტილზე?! ევროპული პოლიტიკა სწორედ ასეთ მმართველობაზე დგას.

– კოალიციური მთავრობის პლუსები და მინუსები რა არის?

– მინუსი გადაწყვეტილების მიღების შეფერხებაა. პლუსი – ერთმანეთის კონტროლი და პოლიტიკური ძალების მთავრობაში არსებობა. ვგულისხმობ იმას, რომ პროცესი ქუჩიდან მთავრობაში ინაცვლებს.

– შალვა ნათელაშვილისა და გრიგოლ ვაშაძის თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ, კითხულობს გია ვოლსკი.

– ეს რატომ არის მისი პრობლემა?! გასაგებია ხელისუფლების აქცენტი, მაგრამ ეს საკითხი ხალხმა გადაწყვიტოს. ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვოლსკი ჯობია თუ ვაშაძე. მთავარია, ამომრჩეველმა თავისუფალი არჩევანი გააკეთოს. თუ „ოცნებას“ სურს ხელისუფლებაში დარჩენა, მაშინ ხალხის მანდატი უნდა მოიპოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მართვა ძალიან გაუჭირდება.

– არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი დადგება პარტნიორების მხრიდან?

– რასაკვირველია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ქართველი ხალხის მხარდაჭერაა.

– ვოლსკი ოპოზიციის მხრიდან რევოლუციურ სცენარზე აკეთებს აქცენტს.

– ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან ხელისუფლების რიტორიკა გასაგებია.

– ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში რამდენად მიღწევადია ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზება, რაზეც ახლა მუშაობენ?

– პირველ რიგში ამისთვის პოლიტიკური ნებაა საჭირო.

– და რამდენად ექნებათ ეს ნება? მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში და მან ეს ბერკეტი კი არ გაუშვა, პირიქით, უფრო დაიახლოვა.

– მას არ ჰქონდა პოლიტიკური ნება. ბოლოსდაბოლოს, ვიღაცას ხომ უნდა აღმოაჩნდეს ეს ნება?!

– მათში ხედავთ ამ მზაობას?

– თუ ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ, იგივე ფორმით ისინი ვერ დაბრუნდებიან.

– „ქართული ოცნება“ იქნება კვლავ ის ძალა, რომელიც ერთპიროვნულად დააკომპლექტებს მთავრობას?

– რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული კვლევები მე სანდოდ არ მეჩვენება. უფრო ნათელ სურათს ველოდები. არსებული შერეული სისტემით, 73-75-ზე „ოცნებას“ მოგების კარგი შანსი აქვს. 100-50-ზეც მშვენიერ შანსებს ინარჩუნებენ. მით უფრო, როდესაც ცნობილია, როგორ ტარდება არჩევნები – დაშინებით, გაყალბებით, მოსყიდვით, რაც უფრო რეგიონებშია. „ოცნება“ თუ მაჟორიტარულ ოლქებს წააგებს, ეს მხოლოდ

დიდ ქალაქებში.

– თბილისში?

– წააგებს. მით უფრო თუ ოპოზიცია ერთიან კანდიდატებზე შეთანხმდება, თან თბილისში ამომრჩევლის დაშინება არცთუ მარტივია.

– ადგილობრივი არჩევნების გამოცდილება არცთუ დიდი ხნის წინ სხვას მეტყველებს. მიუხედავად მაღალი მოლოდინებისა, ოპოზიციის კანდიდატმა წააგო. მთაწმინდის ოლქს ვგულისხმობ.

– ერთი, იმ პერიოდში სერიოზული კოორდინაცია არ იყო ოპოზიციაში. მეორე, ჯერ კიდევ არ იყო ისეთი მოვლენები მომხდარი, როგორიც გავრილოვის ღამე იყო. შედარებით ძლიერი იყო „ოცნების“ პოზიციები.

– ოპოზიცია თვითდაჯერებულია, ეს შეიძლება ამომრჩევლის მობილიზებისთვის სჭირდება თუ მართლაც არიან დარწმუნებული გამარჯვებაში?

– არა, არა, ქართული სენია, უკვე გამარჯვებას ზეიმობენ. როგორც იტყვიან, დათვის ტყავს ინაწილებენ!

მეტი სამუშაოა, პირველ რიგში ხალხში უნდა გავიდნენ, რასაც ბევრისგან ვერ ვხედავ. ერთი-ორი დადის მხოლოდ. საკმარისი არ არის ამერიკიდან მიღებული წერილების ფრიალი, უფრო მნიშვნელოვანი ხალხის მხარდაჭერის მოპოვებაა.

– „ლელო“ შეიძლება პრობლემა გახდეს ოპოზიციისთვის საერთო კანდიდატებზე შეთანხმების კუთხით? ხმების დაფანტვას ვგულისხმობ.

– მართალი გითხრათ, „ლელოს“ პოზიციები ჩემთვის დღემდე გაურკვეველია. ვფიქრობ, ზედმეტად აჭიანურებენ, რაც მიკვირს. მათთვის სერიოზული საკითხი უნდა იყოს ნეიტრალური ამომრჩევლის მიმხრობა, რასაც დიდი მუშაობა სჭირდება და ამას ვერ ვხედავ. ასეთი პასიურობა სრულიად გაუგებარია. ასევე გაუგებარია ოპოზიციასთან კოორდინაციის ნაკლებობა.

– 4 აპრილი უფრო მეტის მიმცემი შეიძლება იყოს ოპოზიციისთვის თუ პირიქით, შეიძლება იმედგაცრუების მიზეზი გახდეს?

– გაუგებარია ამხელა იმედების დამყარება მიტინგზე. სიტუაცია შეიცვალა, დიდი მიტინგებიდან დიდი დრო გავიდა. შეიძლება გაცილებით ნაკლები ადამიანი გამოვიდეს, ვიდრე მხარს უჭერს ოპოზიციას. ეს სერიოზული პრობლემაა.

– თუ ცოტა ხალხი გამოვა, ამას ხელისუფლება ხელზე დაიხვევს?

– დიახ, ამაშია საქმე! არსებობს რისკი ცოტა ხალხის გამოსვლის, რასაც დემორალიზაცია მოჰყვება.

გიგლა ბარამიძე: „ოპოზიცია მაჟორიტარებად მაღალი რეიტინგის ხალხს დავასახელებთ“

„ჩვენ კვოტებს არ გადავინაწილებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ არ შეიცვლება არაფერი ახალი სამთავრობო კარუსელით? რისთვის არის აუცილებელი კოალიციური მმართველობა? რატომ არ წავლენ პარტიები სეპარატულ მოლაპარაკებებზე ხელისუფლებასთან? რატომ აღარ არის საჭირო მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდები? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან **გიგლა ბარამიძეს.**

– ხელისუფლების წარმომადგენლები ხან ადასტურებენ მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებს, ხან უარყოფენ. თუ კარუსელი დატრიალდა, „ქართულ ოცნებას“ რა შეემატება?

– ამ თემაზე ორი ფრაზა მახსენდება – „მალე გაზაფხული მოვა“ და „ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ფაქტობრივად არ ჰყავს მთავრობა, პარლამენტი, შსს, პროკურატურა, სპეცსამსახურები. ისინი საჭირო არ არის. ყველაფერს წყვეტს ერთი მილიარდერი. რა მნიშვნელობა აქვს სამთავრობო ცვლილებებს იქ, სადაც ქვეყანას მართავს ერთი მდიდარი კაცი. ამ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, ბაგრატიონებზე მეტი უფლებები და საკონტროლოდ ბევრ მათგანზე მეტი ტერიტორია აქვს.

– გინდათ თქვათ, რომ მრჩevლებიც არ ჰყავს?

– თამარს ჰყავდა დარბაზი, დავით აღმაშენებელს – გიორგი ჭყონდიდელი, მანამდე იყვნენ ქუჯი, სხვა უჭკვიანესი მრჩevლები. ივანიშვილს სად ჰყავს რჩevის მიმცemები? მისი მრჩevელია, მაგალითად, ოხანაშვილი და მისნაირები. ივანიშვილი უსმენს ოხანაშვილს და სწორ გადაწყვეტილებას როგორ მიიღებს? თუ სისტემა არ შეიცვალა, თუ მთავრობა სხვანაირად არ ჩამოყალიბდა, პრემიერების და მინისტრების შეცვლა არავის არაფერს მოუტანს.

– მომავალი მთავრობის ახლებურად, კოლექტიურად დაკომპლექტებაზე ოპოზიციურ ერთობაში ბევრს საუბრობთ.

– ცხადია. ამიტომ გვინდა მრავალპარტიულობა. ეს მოსპობს ერთპიროვნულ მმართველობას და მაშინ ყველაფერი ქვეყანაში ერთი კაცის გადასაჭrელი არ იქნება. ამისთვის ვიკლავთ თავს, თორემ ახირება კი არ გვჭირს! ამის გამო დადგა ნინო ბურჯანაძე გიგა ბოკერიას გვერდით. სიტუაციის შეცვლის 2 გზა არსებობს – rევოლუციური და მშვიდობიანი, ადამიანურ ინტელიგენტური, ანუ საარჩevნო. rევოლუციები და სადღაც შევარდნები არ გვინდა. არჩeული გვაქვს მშვიდობიანი გზა. ამისათვის ჩასატარebელია სამართლიანი არჩevნები.

– ტელეკომპანია „მთავარის“ დაკვეთით ჩატარebულ კვლevაში „ქართულ ოცნebას“ 34%-იანი rეიტინგი აქვს. rეალურად მიგაჩნიათ ეს მონაცemი?

– სიმართლე გითხრათ, ამგვარ კვლevებში მოტანილ პროცenტebს ნაკლebად ვenდობი. ისინი დაკავშირebულია გარკვeულ სიტუაციასთან და ხშირად სუბიeქტურია. საყურადღebოა გამოკვeთილი მიმართულebები. აქ გამოჩნდა ორი ტenდenცია. ჯერ ერთი, ხელისუფლება უმრავლesობით ვeღარ მოდის. მას ერთიან ოპოზიციაზე ბevრად ნაკლebი მხარდაჭerრა აქვს. მეორეც, მოსახლeობის აბსოლუტურ უმრავლesობას უნდა მრავალპარტიულობა და კოალიციური ხeლისუფლebა და არა – ერთპიროვნული მმართveლობა. კვლevით, ამის შანსი rეალურია.

– თქვenს პარტიას კვლevებისა და არჩevნebის შედegebის მიმართ bevრჯeრ გამოუხატავს პროტesტი.

– rასაკვirveლია. ავიღოთ 2016 წლის საპარლამenტო არჩevნebის მაგალითი. bevრი საჩivარი გვქonდა, მაგრამ არც ერთი უbანი არ გახსnეს, rომ ხmebი გადაგვeთვალა. გვაქვს ზusტი მonაცemebი იმაზე, rომ ჩvenი ხmebი პirდაპirრ სხვა პარტიebს მიაწerეს. ახლა სხვა ვითარebაა და ჩvenსას მაinც მivაღწevთ.

– თუ წლevანდeლი არჩevნebი მოქmeდი მოდeლით ჩატarდა, თქven, ოპოზiციური ერთობა, მაჟorიტarebის კანdიdატebზე შeთანხmebას აპirebთ. ამით mმართveელ პartიას dიd dარtყmას mიაყenებთ?

– თვის ბოლომdე rამdenიmე dღeა dარჩenილი. მარtიdან საკonსtიtუciიო ცvლილebები veღარ ესწrebა. თუ ამ periiodში ხeლისუფლebამ არ dათmო dა ეს სისteმა dარჩა, ოpოზiციაერთmანeთში maჟorიtarebის კანdიdატebზე საbოლooდ mოvილაpარაკebთ. ყveლაზე სამართლiიანი pროpორciuლი სისtemაა. ამ dროს rაც meტ ხmას iღebს partia, mით meტi კაci შeჰყavს pარlamenტში.

– ხeლისუფlebის vარiანtი 100/50-ზeა. თქven სხvadასხvა vარiანtი gაქvთ?

– dიახ. 100/50 ჩvennთvის mისაღebი არ არის. pროpორciuლის gარdა, წარdგenილი gვაქvს rამdenიmე pროeქtი. ისinი ჩvennგადავeciთ ასevე აშშ-ს, სხvა ქveყnebის საeლჩoebს, evროკavშirის წარmომadgenლebას. ხeლისუფlebამ ჩvenი vარiანtebი კარgად iciის. ამიtომ, mოლაpარაკebebის შemdeგი rაუnდის gამართvა dროის ფუჭi კარgვაა. ერთი vარiანti თუ არ mოსწonს ხeლისუფlebას, mეორე, mესamე dა meოთხe gანიხilოს. ყveლა mათgანi gულისხmობს pროpორciuლი nაწilის gაზrdას maჟorიtarrულის ხarჯzე.

rა აზრი აქvს mოლაpარაკebebს? mainცdamainც თალაკვაძe უnდა dაgგvიჯdეს? ყveლაფერი nათქvამiა, vარiანtebი – წარdgenilი. ხeლiსuფlebამ pასuხi უnდა gვითxrას. ეtყmაb, „ocnebas“ mოლაpარაკebebის შemdeგi rაunდi uცxoeli pარtნiორebiს dასsanახad sჭirdebა.

– maჟorიtarebebის nაწilsი gamogivat xeლisuფlebebis daჯabvna?

– ჩvenn ami შemთxvevaში კvოtebს არ gadavinაწilebთ. ყveლanი შevთanxmdebiთ konკrekrtul kandidatebze. uპiratesebs mivaniჭebთ (partiuli kuთvinebebis miუxedavad) im adamianebs, romlebsac ama თu im adgilze, regionSi, avtoritetiაქvთ. amiთ serioزul konkurencias gavuწevთ „qartul ocnebas“ da davamarcxebთ. xeლisuფlebas sწorad amis eშinia da cdilobs, opozicioური ერთობa daშalos.

– damoუkidebel molaapaRakebebs guulisxmobთ? mmartveli partiis am შemoთavazebiთ isargebla „girCma“. sxvebis mxridan gamoricxavთ damoუkidebel თamaშs?

– თu ჩvenn yvelanი ერთad vart, თu moთxovnebis garშemo gavertianدiთ, maშin ar mesmis, ratom unda vxvdebodeთ cal-cالkeli xeლisuფlebas. ნebismieri asეთi შexvedra xeლisuფlebis წisqvilze asxamს wyalს. es xom xeლisuფlebis თamaშia!

– politikuri niშniთ dakavebasac apROtestebთ. sagareo partniorebi aღiarebensaqartvelosში politpatimrebis arsebobas?

– maთgan iyo kritika, mkafiო შeფasebebi ar yofila. gigi უgulavazeზe თqvens, rom cud dros dااkavebs da rom sasamართlo ar unda iyos politikuri iaraღi. martlac, momlapaRakebeli agvacalebs magididan. თu dasakavebeli iyo, manamdeq sad iyvenn? mولapaRakebebis dros omic ki wydeba, xeლisuფlebam ki momlapaRakebeli dااpatimra!

თebervalsი vixsenebთ 1921 wlis tragikul dღeebs da sabჭoთa me-11 armiis შemoჭrisi tragikul tarიღs. am xeლisuფlebistvis 25 თebervali martო iუnkrebis daღupavis dღeა. aუCemebiaთ, iუnkrebi dაgvexocebenno. saqartvelosistvis brძolaში isinic daixocenn da sxvebic. sxvebს ar axsenebenn. es rაღac uცnauri pozioriობa da „svetskaoba“. amaთ rom ჰkiთxo, me-11 armia martو tabaxmelasთan iبrძoda.

ჯer ერთi, თbilisis gasწvrivi yvelgan brძolა midioda. meorეc, ratom ivიწyebensaqartvelos regulaرul ჯarს? misi raodenობa 35.000 iyo. es iyo saკmaod kargad შeiaraღebuli da gaწvrთnili ჯari, romelic თavdadebulad ebrძoda me-11 armias. iyvenn asevე თavdadebuli moxalisebi.

rac შeexebა შemoჭrilebს, 52.000-ian me-11 armiaში, rusebis gardა, თurქebi, asevე kavkasiis sxvა qveynebis წarmomadgenlebebic iyvenn. maთ wინaაღmdeგ meبrძolთa rigebში idga ჩemi baბuა, romelic maშin 16 wlis iyo. ჩvenn maშin 3.000 kaci dagveღuپa. 32 iუnkeri maთ შorisაa.

„აზერბაიჯანმა დავითგარეჯის ტერიტორია უნდა დატოვოს“

ნიკოლოზ მჟავანაძე აზერბაიჯანის საელჩოსთან აქციას აწყობს

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, დავითგარეჯის დაცვის კომიტეტი შეიქმნა თქვენი ინიციატივით და 26 თებერვალს აზერბაიჯანის საელჩოსთან საპროტესტო აქციას მართავთ. რას მოითხოვთ?

– ეს არის ჩვენი პირველი აქტიობა, პროტესტის ერთ-ერთი ფორმა, 26 თებერვალს ჩვენ მივალთ აზერბაიჯანის საელჩოსთან და ვეტყვით აზერბაიჯანს, რომ გაიყვანოს თავისი საოკუპაციო ჯარები დავითგარეჯიდან. შეგვაქვს წერილი აზერბაიჯანის საელჩოში მოთხოვნით.

– რა მოთხოვნით?

– ამ წერილში გაწერილი იქნება, რომ დაუყოვნებლივ აზერბაიჯანის საოკუპაციო ჯარებმა დატოვოს ეს ტერიტორია. ეს იქნება მშვიდობიანი აქცია-პრესკონფერენცია. გავაკეთებთ განცხადებებს, რომ ჩვენ საპროტესტო ნოტას ვუგზავნით ილჰამ ალიევს.

– რამდენად გაქვთ ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი ამ საქმეში?

– დღეს ხელისუფლება არის სირაქლემას პოზიციაში. ნებისმიერი თავმოყვარე ხელისუფლება დღეს მოსთხოვდა აზერბაიჯანს, რომ გაეყვანა თავისი სამხედროები ამ ტერიტორიიდან. ახლა ვიღაც გამოვა და იტყვის, რომ კომისია მუშაობს. ეს კომისია მუშაობს უკვე 25 წელზე მეტია. ამ კომისიამ შეიძლება იმუშაოს კიდევ 50 წელი. სანამ საზღვარი არ გარკვეულა, ყოფილიყო ეს სტატუსკვო.

იმ ტაძრებში ჩვენ ტანკებით მივდივართ? მივდიოდით სანთლებით და სალოცავად, რა აუცილებელი იყო, რომ აზერბაიჯანი შემოიჭრა ჩვენ ტერიტორიაზე?! ამ ხელისუფლების იმპოტენტური პოლიტიკა სრულიად გაუგებარია.

– ანუ აზერბაიჯანი თვლის, რომ მისი ტერიტორიაა და საზღვარს ამაგრებენ?

– თუ ასეა, მაშინ აზერბაიჯანი გამოცხადდეს ოკუპანტად! რუსეთს რომ მიაქვს ჩვენი ტერიტორია, ის ხომ არის ოკუპანტი? აზერბაიჯანს რომ მიაქვს, ის რატომ არ ცხადდება ოკუპანტად?!

– რა იქნება თქვენი შემდგომი ნაბიჯი?

– წინასწარ შემდგომ ნაბიჯებზე არ ვისაუბრებ, ამას არ გავაჟღერებთ. ამით ვიწყებთ და პერიოდულად ჩვენს გეგმებსა და ნაბიჯებზე მოგაწვდით ინფორმაციებს. სანამ საქართველოს არ დაუბრუნდება ეს მეორე იერუსალიმი, მანამდე ჩვენ არ გავჩერდებით.

– თუკი არ დაგიდგათ მხარში ხელისუფლება, რა იქნება?

– ამ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ გამოტანილი იქნება სასიკვდილო განაჩენი. ამ განაჩენს ერქმევა ის, რომ ისინი წავლენ ამ ხელისუფლებიდან! რას ქვია, ხმას არ ამოიღებენ და რადიკალურ ნაბიჯებს არ გადადგამენ. აბა უნდა დათმონ ეს ტერიტორია?! ჩვენ არ დავთმობთ!

ძალიან დიდი აღტკინებაა ხალხში ამ კომიტეტთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი ადამიანი გვირეკავს უცხოეთიდან. ემიგრანტებთან გვაქვს კავშირი და ევროპაში, სადაც კი არის აზერბაიჯანის საელჩოები, ყველგან გაიმართება საპროტესტო აქციები, საქართველოს მხარდასაჭერი, ჩვენი ემიგრანტების მიერ.

ალბანური ტაძრებიაო, რომელ ალბანურ ტაძრებშია თამარ მეფის და იესო ქრისტეს ფრესკები, ამიხსნას ვინმემ! ქართველი მეფეების ფრესკებს რა უნდა ალბანურ ტაძრებში?!

გამოხმაურება

თქვენი გაზეთის 2020 წლის 20 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ საეჭვო ექსპერტ ვახტანგ მაისაიასთან სათაურით „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული“, სადაც გამოთქმული მოსაზრებები არ შეესაბამება სიმართლეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი იყენებს ყველა პლატფორმას იმისთვის, რათა დაადასტუროს თავისი მხარდაჭერა მეზობელი და მეგობარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. თურქეთის პრეზიდენტმა, ბატონმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერის შესახებ განცხადებები გააკეთა: 2019 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი გიორგი გახარიას თურქეთში ვიზიტის დროს, 2017 წლის 19 სექტემბერს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 72-ე ყრილობაზე და 2008 წლის 14 აგვისტოს პრემიერ-მინისტრის რანგში საქართველოში ვიზიტისას.

უკრაინის ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით თურქეთის პოზიცია ნათელია. იგი არ აღიარებს დე ფაქტო მდგომარეობას, რომელიც დადგა რეფერენდუმის შედეგად, საერთაშორისო სამართლის დარღვევით და მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

აღნიშნულ ინტერვიუში მაისაიას მოსაზრება, რომ თითქოს თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადება და პოზიცია რამენაირად უკავშირდება ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციასთან მის ურთიერთობებს, არასწორი, უსამართლო და მანიპულაციური ხასიათისაა. მსოფლიო და რეგიონული პროცესების კონტექსტში გამოთქმული ამ მოსაზრებების სამიზნეს წარმოადგენს თურქეთის ურთიერთობები საქართველოსა და უკრაინასთან. აქედან გამომდინარე, ფრიად სამწუხაროა, რომ იგი დაიბეჭდა „ახალ თაობაში“.

საკვირველი არაა, რომ ამ მოსაზრებების გამხმოვანებელი პიროვნება გახლავთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომელი, ვინაიდან აღნიშნული დაწესებულება კავშირშია ფეთულაჰ გულენის ტერორისტულ ორგანიზაცია FETÖ-სთან, რომელიც დგას თურქეთში 2016 წლის 15 ივლისის ტერორისტული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უკან, რასაც შეეწირა 251 მოქალაქის სიცოცხლე. ცხადი ხდება, რომ FETÖ-მ ახლა უკვე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები ამოიღო მიზანში.

თქვენი მკითხველების სწორად ინფორმირების მიზნით გთხოვთ, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ჩვენი წინამდებარე წერილი.

საუკეთესო სურვილებით, ფატმა ჯერენ იაზგანი, სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუდაურში ძალადობის ბრალდებით 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ვ.წ. – ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, 1993 წელს დაბადებული შ.ე. კი ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 23 თებერვალს, გუდაურში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ვ.წ. და ამავე ბარის დაცვის რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის შ.ე., ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ვ.წ.-მ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კაფე-ბარის მეპატრონესაც. პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღეს, ვ.წ. – მცხეთაში, შ.ე. კი გუდაურში დააკავა. ინციდენტში მონაწილე სხვა პირების მიმართ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

თბილისში 18 წლის ბიჭი დედისა და ბებიის მკვლელობისთვის დააკავეს

გუშინ, 25 თებერვალს, დილით, თბილისში, ნაძალადევში, დედა-შვილი მოკლეს.

შსს-ს ცნობით, 18 წლის ბიჭმა დედა და ბებია მოკლა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბებია – 1946 წელს დაბადებული ზ.დ. და დედა – 1974 წელს დაბადებული თ.ზ., მათსავე საცხოვრებელ სახლში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, მძინარე მდგომარეობაში ნაჯახით მოკლა.

მკვლელობა ნაძალადევში, ზაზიაშვილის 25-ში მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის მიმართ ოჯახში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 2001 წელს დაბადებული – მ.ზ. ცხელ კვალზე დაიკავეს.

მეზობლების ინფორმაციით, 18 წლის ახალგაზრდამ მკვლელობის შესახებ პოლიციას თავად შეატყობინა.

– წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა. ხმამაღლა ლაპარაკიც არ გამიგია. დაახლოებით 7 წელია, აქ ცხოვრობენ, თუმცა სახლის მეპატრონე სხვა პირია, ის ამერიკაში ცხოვრობს და სახლი ოჯახს დაუტოვა, რადგან შეეცოდა ესენი, სოფლიდან იყვნენ ჩამოსული, ქირასაც არ იხდიდნენ. ხმაური არ გამიგია, ეძინათ თურმე. ნორმალური ბავშვი იყო. სამი ადამიანი ცხოვრობდა სახლში, დედა, ბებია და თვითონ. პოლიციაში თავად დაურეკავს, – თქვა ერთ-ერთმა მეზობელმა.

როგორც მეზობლები ყვებიან, სავარაუდო დამნაშავე მკვლელობის შემდეგ გარეთ გამოვარდა და დანაშაულს აღიარებდა.

– რა მოხდა, არ ვიცი, ყვირილზე გამოვიხედე, დაახლოებით ღამის 3 საათი იქნებოდა. დედა და ბებია მოვკალიო, ყვიროდა, ამ დროს უკვე მოდიოდა პოლიციაც. მიზეზი არ ვიცი, ჭკვიანი ბავშვია, რამდენიმე წელია, ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობენ და ცუდი არაფერი შეგვიმჩნევია, – განაცხადა სხვა მეზობელმა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი 18 წლის ბიჭი კერძო სკოლაში სწავლობს.

ადვოკატი თამარ გაჩეჩილაძე აცხადებს,

რომ მოზარდი ოჯახის წევრების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი იყო.

უფლებადამცველი სკოლაში შესაძლო ჩაგვრაზეც ამახვილებს ყურადღებას.

– ეს ბავშვი იზრდებოდა უმამოდ. ოჯახის წევრების მხრიდან წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ძალადობა. ეს გროვდებოდა და ძალიან მძიმედ იმოქმედა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაინიშნება და განისაზღვრება მისი ფსიქიკური მდგომარეობა, – აღნიშნა ადვოკატმა.

თამარ გაჩეჩილაძის თქმით, მოზარდს კონფლიქტი ჰქონდა ყველასთან – საზოგადოების ნაწილთანაც:

– სკოლაშიც იყო ბულინგის შემთხვევები. ეს ბავშვი ძალადობის მსხვერპლია. კონფლიქტის მიზეზი იყო ყოველდღიური კამათი, ჩხუბი ოჯახთან და საზოგადოებასთან. დედა და ბებია ძალადობდნენ მასზე ფსიქოლოგიურად.

ბრალდებულის შესახებ საუბრობს მისი სკოლელიც, რომლის თქმით, დაკავებულს ამის ჩადენა არ შეეძლო.

– სკოლიდან 1 წელი გამოვიდა და ამ ბოლო დროს ისევ გააგრძელა სწავლა. პრობლემებზე საერთოდ არ საუბრობდა არასოდეს. კონფლიქტური პიროვნება არ ყოფილა. ჩემი აზრით, ამის ჩადენა მართლა არ შეეძლო. ვერ ვხვდები, ეს როგორ გააკეთა, – განაცხადა ბრალდებულის სკოლელმა გიორგი კოპაძემ.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის მიმართ ოჯახში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მიხეილ კალანდიას 11 წელი და 3 თვე მიესაჯა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიხეილ კალანდიას ბაბუამ, ბორის კაკუბავამ კი თქვა, რომ ნაცმოძრაობამ ზაზა სარალიძე მოისყიდა და ხელისუფლებაზე ზეწოლა განახორციელა.

– ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ველოდი. ეს არ არის მართლმსაჯულება, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ამ მიმართულებით მიჰყავდათ მთელი ეს ბრძოლა, სარალიძეს უნდა დაემხო ხელისუფლება. ნაცმოძრაობამ მოისყიდა სარალიძე და ხელისუფლებაზე ზეწოლა განახორციელა.

ხელისუფლება უნიათოა. ალბათ, საერთოდ არ არსებობს საქართველოში ხელისუფლება. საქართველოს „ოცნება“ არ არის ეს, ვისი „ოცნებაა“, თავად ვერ გაურკვევიათ საცოდავებს. ამ ქვეყანაში სამართალს არავინ ემსახურება, თქვენ ამას ვერ ატყობთ?! – განაცხადა კაკუბავამ.

მისი თქმით, ხელისუფლება არაქმედებაუნარიანი და მშიშარაა.

– ეს ხელისუფლება უვარგისი და მშიშარაა. ნაცებმა ქვეყანას ანახეს, რომ ეს ხელისუფლება ნამდვილად არ არის ღირსი, საქართველოს სათავეში იყოს, – დასძინა მან.

❖ ❖ ❖

დავით სარალიძის მკვლელობის საქმის პროკურორ ბესიკ ქვარცხავას განცხადებით, ბრალდების მხარემ საქმეზე 150-მდე მოწმის ჩვენება და ათეულობით ნივთმტკიცება წარმოადგინა, რის საფუძველზეც სასამართლომ მიხეილ კალანდია დამნაშავედ ცნო.

– ბრალდების მხარის მიერ დაახლოებით 9 თვის განმავლობაში წარმოდგენილი და უშუალოდ გამოკვლეული იქნა 150-მდე მოწმის ჩვენება, ასევე, წარმოდგენილი იქნა ათეულობით ნივთიერი მტკიცებულება და ასეულობით წერილობითი მტკიცებულება, შესაბამისად, სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყოველივე ზემოთ ხსენებული მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და ბრალდებულის მიმართ დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, – განაცხადა პროკურორმა.

მან თქვა, რომ ოჯახის თუ დაცვის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ეხება სხვადასხვა პოლიტიკურ სპეკულაციებს, სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს.

– ბრალდების მხარის მიერ იყო არაერთი როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მტკიცებულება მოცემულ ბრალდებულებაზე, რომელიც სასამართლომ სრულად გაიზიარა, – აღნიშნა პროკურორმა ქვარცხავამ.

კითხვას, დადასტურდა თუ არა, რომ სასიკვდილო ჭრილობა დავით სარალიძეს სწორედ კალანდიამ მიაყენა, პროკურორმა ასე უპასუხა:

– აღნიშნული განაჩენით დადასტურდა, რომ მსჯავრდებული მ.კ. იყო თანაამსრულებელი და ჯგუფის მეორე წევრთან ერთად ჩაიდინა განზრახ მკვლელობა. აღნიშნული ჭრილობა მიაყენა ბასრი საგნის გამოყენებით მსჯავრდებულმა დავით სარალიძეს.

❖ ❖ ❖

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი ნესტან ლონდარიძე, რომელიც დავით სარალიძის ოჯახის ინტერესებს იცავს, აცხადებს, რომ ზაზა სარალიძისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან ემოციური იყო.

როგორც ლონდარიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ზაზა სარალიძემ გადაწყვიტა, რომ გარკვეული პერიოდი მედიასთან კომენტარი არ გააკეთოს, რის გამოც მან დუმილი არჩია.

– ძალიან რთულია ეს ბოლო პერიოდი მაშინ, როდესაც მის მიმართ ამდენ ცილისმწამებლურ განცხადებას ისმენს. ალბათ ძალიან ცოტამ თუ ვიცით, როგორი ემოციით უყურებს ის ყველაფერ ამას იმიტომ, რომ მას ჰყავს შვილი, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის ძალიან ემოციური იყო, საუბარი უჭირდა და სწორედ ამიტომ ის გარკვეული პერიოდი ეცდება, რომ მედიასთან კომენტარები არ გააკეთოს. არ მოგვეცა საშუალება, რომ მასთან გვესაუბრა. დარბაზში კი ვიყავით, მაგრამ ის ამ თემაზე ვერ საუბრობდა, – განაცხადა ლონდარიძემ.

მისი თქმით, მიხეილ კალანდიას ოჯახს უფლება აქვს, რომ გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

– მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეაფასონ ეს საქმე, გაასაჩივრონ. კანონი აძლევთ მათ ამის საშუალებას. ამაში, რა თქმა უნდა, ხელს არ და ვერ შევუშლით, არც ამის სურვილი გვაქვს.

შეუძლიათ გადაწყვეტილება გაასაჩივრონ და ყველა ის ინსტანცია გამოიყენონ, სადაც შეუძლიათ, – დასძინა ნესტან ლონდარიძემ.

საშინელი ავარია სამტრედიასთან

ტრაილერი მინივენს დაეჯახა, 5 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 25 თებერვალს, სამტრედიის შესასვლელთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა.

ერთმანეთს ტრაილერი და მინივენი შეეჯახა. მინივენში მსხდომი ყველა მგზავრი დაიღუპა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერ ვალერი ფოცხვერიას ინფორმაციით, სამტრედიასთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპული 5 ადამიანი ქუთაისიდან და ჩოხატაურიდან იყვნენ.

მერის ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევას ტრაილერის მძღოლი გადაურჩა.

– ხუთი ადამიანია დაღუპული, მინივენის მძღოლი და მისი მგზავრები. ის დაეჯახა ტრაილერს. ტრაილერის მძღოლი გადარჩა. რამდენადაც ვიცი, მძღოლი უნდა იყოს ბათუმიდან, მგზავრები – ქუთაისიდან და ჩოხატაურიდან, – განაცხადა ვალერი ფოცხვერიამ.

მამაკაცი, რომელიც შემთხვევის დროს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ამბობს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა ცუდმა ამინდმა

გამოიწვია:

– ცუდი ამინდის გამო მოცურდა პატარა მანქანა და დაეჯახა ტრაილერი. სამგზავრო მინივენი იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

80 წლის კაცმა რუსთავში თვითმკვლელობა ცადა

გუშინ, 25 თებერვალს, სუიციდის მცდელობა იყო რუსთავში.

VII მიკრორაიონში 80 წლის კაცმა თვითმკვლელობა ცადა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

მამაკაცი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

კასპში 68 წლის მამაკაცი საკუთარ ნაკვეთში დაიწვა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში 68 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

ის საკუთარ ნაკვეთში იპოვეს, სადაც კარგი ამინდის დადგომის გამო მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცმა ბალახს ცეცხლი მოუკიდა და შემდეგ თავი ვეღარ დააღწია.

სოფლის წარმომადგენელ ტარიელ ოხანაშვილის განცხადებით, ნაკვეთი ბალახიანი იყო, ხოლო მამაკაცი მის გასუფთავებას ცდილობდა.

– ეს ნაკვეთი გრაკლის მხარეს მდებარეობს. ცეცხლი მოუკიდა და, როგორც ჩანს, შემდეგ თვითონ მოყვა შიგ, – განაცხადა ტარიელ ოხანაშვილმა.

ლიდერფუდის ბუღალტერმა კომპანიის 2 მილიონი კაზინოში წააგო

ხორცპროდუქტების კომპანია ლიდერფუდის ბუღალტერმა კომპანიის კუთვნილი 2 მილიონი ლარი კაზინოში წააგო. შემთხვევა დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა, თუმცა, პრაიმტაიმის წყაროს ცნობით, ფაქტი მას შემდეგ გახმაურდა, რაც კომპანიის მფლობელმა ბუღალტერს გენერალური დირექტორის თანამდებობა შესთავაზა.

ამის შემდეგ ბუღალტერმა დანაშაული თავადვე აღიარა და მითვისებული თანხის ნაწილი, 800 ათასი ლარი უკან დააბრუნა, – ამბობს პრაიმტაიმის წყარო.

საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს. მომხდარზე გამოძიება 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის ან ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვას გულისხმობს.

მცხეთის რაიონულ სასამართლოში პროცესი 19 თებერვალს გაიმართა.

ბრალდებულს 9 წლითა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

თეირანი-სტამბოლის ბორტი ანკარაში საგანგებოდ დაეშვა

ირანის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს ახალი კორონავირუსი დაუდგინდა

„თურქეთის ავიახაზების“ თვითმფრინავი, რომელიც თეირანიდან სტამბოლის მიმართულებით მიფრინავდა, ანკარაში საგანგებოდ დაეშვა.

აღნიშნული ბრძანება ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ მას შემდეგ გასცა, რაც ბორტზე ეჭვი გაჩნდა, რომ ერთ-ერთი მგზავრი ახალი კორონავირუსით იყო ინფიცირებული.

თურქეთმა რამდენიმე დღის წინ ირანთან საზღვარი ჩაკეტა და ფრენები შეამცირა. ჯერჯერობით, ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ირანში კი კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ინფექცია 95 ადამიანს დაუდასტურდა.

24 თებერვალს ირანის პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ ოფიციალური ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება და

ქვეყანაში კორონავირუსით უკვე 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

გუშინ, 25 თებერვალს, ცნობილი გახდა, რომ ირანის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს ახალი კორონავირუსი დაუდგინდა. ინფორმაციას ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით საერთაშორისო გამოცემები აქვეყნებენ.

ირანის ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნული ცნობები მედიასთან დაადასტურა. მაღალჩინოსანი კარანტინში იმყოფება.

ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან 11-მა ქვეყანამ საჰაერო ან/და სახმელეთო მიმოსვლა დროებით შეწყვიტა. საზღვრები ჩაკეტეს ერაყმა, თურქეთმა, ავღანეთმა, პაკისტანმა და სომხეთმა, ხოლო ავიამიმოსვლა შეაჩერეს საუდის არაბეთმა, ქუვეითმა, გაერთიანებულმა არაბთა ემირატებმა, ომანმა და საქართველომ.

ჯერჯერობით, ირანთან სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლაზე აკრძალვები არ დაუწესებია მის ორ მეზობელს, თურქმენეთსა და აზერბაიჯანს, თუმცა ქვეყნიდან შესული მოგზაურები საზღვრებზე სპეციალურ კონტროლს გადიან.

ტრამპი კორონავირუსთან საბრძოლველად 2,5 მილიარდს ითხოვს

თეთრი სახლის ინფორმაციით, ტრამპის ადმინისტრაცია კონგრესს ახალ კორონავირუსთან საბრძოლველად 2,5 მილიარდი დოლარის გამოყოფას სთხოვს. აღნიშნული თანხიდან 1 მილიარდი აშშ დოლარი ვაქცინის შექმნას უნდა მოხმარდეს.

– ტრამპის ადმინისტრაცია ძალიან სერიოზულად აღიქვამს კორონავირუსის გავრცელებას. ჩვენი ადმინისტრაცია მიმართავს კონგრესს, გამოიყოს 2,5 მილიარდი აშშ დოლარი, რომ მოხდეს ვაქცინის შექმნის დაჩქარება და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, ისეთის, როგორიცაა საჭირო აღჭურვილობისა და მარაგების უზრუნველყოფა, – განაცხადა თეთრი სახლის პრესსპიკერმა რეჩელ სემმელმა.

ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულთა და დაღუპულთა რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება.

ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი გარდაიცვალა

91 წლის ასაკში ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი გარდაიცვალა. ის კაიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში ინტენსიური მკურნალობის კურსს გადიოდა.

ჰოსნი მუბარაქი ეგვიპტეს 30 წლის მანძილზე, 2011 წლის 11 თებერვლამდე მართავდა. 2012 წლის კაიროს სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას სამუდამო პატიმრობა შეეფარდა, თუმცა, მოგვიანებით 2017 წელს ის გაათავისუფლეს, როცა ბრალდებების უმეტესობა მოეხსნა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

102 წლის მოხუცმა სახლში შეჭრილი მძარცველის მოგერიება შეძლო

ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ ლინკოლნის მცხოვრებმა მოახერხა მოეგერიებინა მძარცველის თავდასხმა, რომელმაც მის სახლში განათების შემოწმების მომიზეზებით მოახერხა შეღწევა.

18 თებერვალს უცნობმა პირმა 102 წლის ჯონისა და მისი 97 წლის მეუღლის ჯოანას ბინის კარზე დააკაკუნა. მან სახლის პატრონებს უთხრა, რომ განათების სისტემის შემოწმებას აპირებდა. სახლის პატრონს მისი ამგვარი განმარტება საეჭვოდ მოეჩვენა და უპასუხა: „შენ აქ ვერ შემოხვალ, მეგობარო“. მაშინ მძარცველმა ძალის გამოყენებით გააღო კარი და შიგნით შეღწევას შეეცადა.

პენსიონერი მამაკაცის თქმით, თავდამსხმელმა მას რამდენჯერმე დაარტყა, მაგრამ არც თავად დარჩენილა ვალში. ამ შეხლა-შემოხლის შედეგად ბოროტმოქმედი გაიქცა.

– როგორც ჩანს, შეეშინდა, – განაცხადა ხანდაზმულმა მამაკაცმა, რომელმაც ამ ინციდენტის შედეგად წინამხარზე დიდი ჩალურჯება და იარები მიიღო.

ჯონი და მისი მეუღლე მომხდარით შეძრულები არიან. ეს ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მეორე თავდასხმაა მათ სახლზე. პირველად წყვილმა უცნობი, რომელმაც თავი ბუნებრივი აირის სამსახურის წარმომადგენლად წარუდგინა, სახლში შეუშვა. მძარცველმა მათ ჩანთა და საფულე მოპარა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. ინციდენტამდე 45 წუთით ადრე, უცნობმა პირმა იგივე ხერხით მოპარა ფული და საბანკო ბარათები 90 წლის ინვალიდ ქალბატონს.

მამაკაცი ალმოდებული ფერარის გადარჩენას აივნიდან ცდილობდა

მონტე-კარლოში მამაკაცი შეეცადა ფერარი F40, რომელსაც ცეცხლი ეკიდა, აივნიდან წყლის დასხმით გადაერჩინა. აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე იქნა გადაღებული და ის ერთ-ერთმა ბრიტანელმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გამვლელმა კამერით გადაიღო, თუ როგორ ცდილობდა ავტომობილის მფლობელი ცეცხლის ჩაქრობას სახლის აივნიდან. კადრებში ჩანს, როგორ დგას აივანზე მამაკაცი და ბაღის სარწყავი რეზინის მილის დახმარებით ცდილობს შენობასთან მდგარი ალმოდებული მილიონ ფუნტ სტერლინგად ღირებული წითელი სუპერკარის ჩაქრობას. ცეცხლი ავტომობილის ძრავს გაუჩნდა.

ვიდეო ჩანაწერში ასევე ჩანს მანქანის თავზე აღმართული შავი ბოლის ბოლქვები. საბოლოოდ შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ და ცეცხლი ჩააქრეს.

პოლიციელმა წყვილმა პაემანი შეიარაღებული ძარცვის აღკვეთით დაასრულა

ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილის მკვიდრმა პოლიციელების წყვილმა დააპატიმრა შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომელიც ფასტფუდ-რესტორნის გაძარცვას ცდილობდა.

პოლიციის დეტექტივი ჩეიზ მაკკეონი და ოფიცერი ნიკოლ მაკკეონი ექვსი თვის დაქორწინებულები არიან და ყოველ კვირას პაემანზე დადიან. შაბათ საღამოს ისინი მორიგ პაემანზე ქალაქის ცენტრში მდებარე სწრაფი კვების რესტორანში წავიდნენ.

ამ დროს დაწესებულებაში ნიღბიანი მამაკაცი შევიდა, რომელსაც შავი ჯემპრი ეცვა, სახეზე კი კაპიუშონი ჰქონდა ჩამოფხატული. მან პისტოლეტი ამოიღო და მუქარით დაწესებულების თანამშრომელს სალაროზე მიუთითა. ამ ყოველივეს დანახვაზე პოლიციელების წყვილი წამოდგა და მამაკაცთან ზურგის მხრიდან მიირბინა. მძარცველი რესტორნიდან გაიქცა. ისინი მას გამოედევნენ.

წყვილი მძარცველს წამოეწია და ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში მყოფი კოლეგების დახმარებით დააკავეს. ეჭვმიტანილი ჯასტინ კარტერი აღმოჩნდა. უახლოეს დღეებში ის სასამართლოს წინაშე წარდგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლეო მესი: „ბარსადან წასვლას არ ვაპირებ“

ბარსელონის თავდამსხმელმა ლიონელ მესიმ ესპანურ მედიასთან ისაუბრა და განაცხადა, რომ კატალონიაში თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს, შესაბამისად, არსად წასვლას არ გეგმავს. არგენტინელის თქმით, იქამდე, სანამ კლუბში მისი ხილვის სურვილი ექნებათ, თავად არ ფიქრობს გუნდის შეცვლას, რადგან ბარსელონაზეა შეყვარებული.

ლეო მესი:

– ბარსელონა მიყვარს, ეს ჩემი სახლია. სანამ კლუბს და გულშემატკივარს ვენდომები, მანამდე არანაირი პრობლემა არ იქნება. მინდა აქ დარჩენა, კიდევ ერთხელ ჩემპიონთა ლიგისა და ლა ლიგის მოგება. ბევრჯერ შემეძლო გუნდის დატოვება, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მზად იყვნენ გამოსასყიდი თანხის გადასახდელად, მაგრამ მე წასვლაზე არასდროს მიფიქრია.

– არც არგენტინა გენატრებათ?

– ბარსელონაში ძალიან კარგად ვცხოვრობ, მიყვარს აქაურობა, მიუხედავად იმისა, რომ როსარიო ძალიან მენატრება. ეს ჩემი სახლია, უფრო დიდი ხანია აქ ვიმყოფები, ვიდრე არგენტინაში. შეყვარებული ვარ ადგილზე, სადაც ვცხოვრობ და ჩემი ცხოვრება ძალიან მომწონს.

– ასაკში შედიხართ, კარიერისთვის თავის დანებება თუ გიფიქრიათ?

– თავს ისევ ძალიან კარგად ვგრძნობ, უფრო უკეთ, ვიდრე გასულ წლებში. ბევრი გოლი არ გამაქვს, მაგრამ ფიზიკური თვალსაზრისით ძალიან კარგად ვარ. ვნახოთ, სანამდე შემეძლება თამაში.

– ბოლო დროს ბარსელონას ირგვლივ სკანდალი აგორდა.

– სიმართლე გითხრათ, ამან ცოტათი გამაკვირვა. აქ არ ვიყავი და როდესაც დავბრუნდი, ყველაფერი გავიგე. პრეზიდენტმა იგივე თქვა საჯაროდ, პრესკონფერენციაზე. მან აგვიხსნა ვითარება და ვერაფერს დავამატებ. სიმართლე ისაა, რომ უცნაურია, ასეთი რაღაც რომ მოხდა. უნდა დაველოდოთ, რის შემდეგ გავიგებთ მართალია თუ არა. ბევრის თქმა არ შეიძლია, უბრალოდ, უნდა გავიგოთ რა მოხდა. ეს ყველაფერი ჩემთვის მართლაც უცნაურად ჩანს.

– თქვენც გაერიეთ სკანდალში. აბიდალთან პოლემიკას ვგულისხმობთ.

– ჩვეულებრივად ვუპასუხე, რადგან შეტევა ჩვენზე იყო. გასახდელში ბევრი რამ არის ნათქვამი, მაგრამ მწვრთნელის სამსახურიდან გაშვება ფეხბურთელების დამსახურებით სიგიჟეა. აბიდალი არის ტექნიკური დირექტორი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს.

– ბარსელონა ლაუტარო მარტინესის გადაბირებით არის დაინტერესებული. რა რეკომენდაციას მისცემდით როგორც კლუბს, ისე თანამემამულეს?

– ლაუტარო ძალიან სანახაობრივი ფეხბურთელია, შთამბეჭდავი, დიდი მოთამაშე გახდება და ეს უკვე აჩვენა. ერთ-ერთზე თამაშში ძალიან მაგარია, ბევრ გოლს იტანს, საჯარიმოში კარგად მოძრაობს. ხარისხიანი, სრულყოფილი ფეხბურთელია. სუარესთან ბევრი რამ აქვს საერთო. ლუისს შეუძლია მას ადაპტაციაში დაეხმაროს. ყველას ვუსურვებ, რომ აქ მოვიდეს და ყველა ტიტულის მოგება ვცადოთ.

– ასევე საუბარია ბარსაში ნეიმარის დაბრუნებაზე. თქვენ რა აზრის ხართ?

– მომეწონება, თუ ნეიმარი დაბრუნდება. ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენია. მხიარული ადამიანი, ყოველთვის ბედნიერი, რომელიც ერთობა როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. ჩვენ ვცადეთ, რომ დარჩენაში დაგვერწმუნებინა, ნორმალურია, რომ ის გზა, რომლითაც დაგვტოვა, სასიამოვნო არ იყო. მას დაბრუნების ნამდვილად დიდი სურვილი აქვს.

– ესპანეთიდან იტალიაში გადაბარგებული კრიშტიანუ რონალდუ აგრძელებს გოლების სერიას...

– ეს ნორმალურია, რადგან რონალდუ მტაცებლური თავდამსხმელია, უყვარს გოლების გატანა, გააქვს ყოველთვის, როდესაც თამაშობს. როგორც თავდამსხმელს, ბევრი თვისება აქვს, მინიმალურ შანსსაც იყენებს.

– რონალდუს გარეშე რეალთან კონკურენციის მოგება უფრო ადვილი იქნება?

– რეალმა რონალდუს გარეშე ბევრი გოლი დაკარგა. აშკარა იყო, რომ ეს მოხდებოდა. ამასთან, კრიშტიანუს გუნდში არა მხოლოდ გოლები, არამედ ბევრი სხვა რამ მოაქვს. თუ გუნდი კარგავს ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც სეზონში 50 გოლი გააქვს, ეს შესამჩნევი ხდება. მადრიდში დიდი ფეხბურთელები არიან, მაგრამ კრიშტიანუ სეზონში 50 გოლს იტანდა.

– ჩემპიონთა ლიგის მოგების მთავარ პრეტენდენტებად ვის მიიჩნევთ?

– ცხადია, ბარსას და ჩვენი მთავარი კონკურენტები ლივერპული, პსჟ, იუვენტუსი და რეალი არიან. ვფიქრობ, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი სწორედ ამ გუნდებს აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულმა და პარიზელებმა პირველი მატჩები წააგეს.

– ბარსას ლიგაზე უახლოესი მატჩი ნეაპოლში აქვს.

– სიმართლე გითხრათ, დიდი ხანი მინდოდა ამ სტადიონზე თამაში, მაგრამ ეს აქამდე არასდროს მომხდარა. საბოლოოდ, ეს მომენტიც დადგა და ძალიან ბედნიერი ვარ. ვიცი ნეაპოლიტანელთა გიჟური სიყვარული ფეხბურთისადმი. მე მყავდა თანაგუნდელები, რომლებიც იქ თამაშობდნენ, მაგალითად, პოჩო ლავეცი და მან ბევრი რამ მითხრა, რაც იქ ხდებოდა.

ამიტომ დიდი ენთუზიაზმით ველოდები თამაშს.

შედეგები

24 თებერვალი
ფეხბურთი
ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-ვესტ ჰემი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	27	26	1	0	64-17	79
2.სიტი	27	18	3	6	68-29	57
3.ლესტერი	26	15	4	7	54-27	49
4.ჩელსი	27	13	5	9	45-37	44
5.მანჩესტერი	27	11	8	8	41-29	41
6.ტოტენჰემი	27	11	7	9	44-36	40
7.შეფილდი	27	10	10	7	29-25	40
8.ვოლვზი	26	9	11	6	38-32	38
9.არსენალი	27	8	13	6	39-36	37
10.ბარნლი	27	11	4	12	33-39	37
11.ევერტონი	27	10	6	11	36-41	36
12.საუთჰემპტონი	27	10	4	13	34-48	34
13.კრ.პალასი	27	8	9	10	24-32	33
14.ნიუკასლი	27	8	7	12	24-41	31
15.ბრაიტონი	27	6	10	11	32-39	28
16.ბორნმუთი	27	7	5	15	26-43	26
17.ასტონ ვილა	27	7	4	16	34-52	25
18.ვესტ ჰემი	27	6	6	15	32-48	24
19.უოტფორდი	27	5	9	13	24-43	24
20.ნორვიჩი	27	4	6	17	24-51	18

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-უნიონი 1:2

სატესტო ცხრილი:

1.ბაიერნი	23	15	4	4	65-26	49
2.ლაიფციგი	23	14	6	3	61-25	48
3.დორტმუნდი	23	13	6	4	65-32	45
4.გლადბახი	22	13	4	5	43-25	43
5.ლევერკუზენი	23	13	4	6	40-29	43
6.შალკე	23	9	9	5	32-32	36
7.ვოლფსბურგი	23	9	7	7	32-28	34
8.ჰოფენჰაიმი	23	10	4	9	34-36	34
9.ფრაიბურგი	23	9	6	8	31-33	33
10.უნიონი	23	9	2	12	29-36	29
11.აინტრახტი	23	8	4	11	37-37	28
12.აუგსბურგი	23	7	6	10	34-47	27
13.კიოლნი	22	8	2	12	33-42	26
14.ჰერტა	23	7	5	11	27-43	26
15.მაინცი	23	7	1	15	31-52	22
16.ფორტუნა	23	4	5	14	21-48	20
17.ვერდერი	23	4	5	14	25-53	17
18.პადერბორნი	23	4	4	15	29-50	16

იტალია. სერია ბ

პერუჯა-ემპოლი 0:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ტრუა-ოსერი 3:1

ჰოლანდია. პირველი ლიგა

ჟილ ვისენტე-ბენფიკა 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-დენიზლი 2:0
რიზე-ბაშაქშეჰირი 1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-იაბლონეცი 1:1

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ორხუსი 1:2

მოამზადა მისელ ელორჟოლიანმა

ბელარუსი სოფიაში ჩავიდა

ბელარუსის ნაკრები 26 მარტს საქართველოსთან სათამაშოდ ემზადება. გუნდმა უკვე გამართა ერთი საკონტროლო შეხვედრა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და უზბეკეთის ეროვნულ გუნდს 1:0 მოუგო.

საუდის არაბეთიდან ბელარუსი სოფიაში გადაფრინდა, სადაც დღეს უკვე მასპინძლებს გაეჯიბრება. უზბეკეთთან მატჩის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ სერგეი პოლიტევიჩი, იური კენდიში, სერგეი მატვეიჩიკი, იგორ ბურკო, დენის ლაპტევი და ალეკსანდრ პავლოვეცი.

ბულგარეთში მიხაილ მარხელის გუნდი კაიროსა და ანთალიის გავლით ჩაფრინდა და თურქეთში თვითმფრინავის ბორტი სტანისლავ დრაგუნმა, იგორ სტასევიჩმა და პაველ ნეხაიჩუკმა (უზბეკეთის კარში გოლი მან გაიტანა) დატოვეს. ასევე მცირე ტრავმა აწუხებს ივან ბახარს.

აქედან გამომდინარე, ნაკრები მაკსიმ სკავიშმა, ევგენი იაბლონსკიმ, ვლადისლავ კლიმოვიჩმა, ევგენი შევჩენკომ, კირილ პეჩენინმა, რომან იუზეპჩუკმა, ალეკსანდრ პოზნიაკმა, რომან ვაგერმა და ნიკიტა სტეპანოვმა შეავსეს.

სადღეისოდ, მარხელის განკარგულებაში 17 ფეხბურთელია.

როგორც ბელარუსთა თავკაცი აღნიშნავს, შედეგის გარდა, მათთვის მთავარი გუნდის შეთამაშება და იმ ტაქტიკური მონახაზის დამუშავებაა, რომელიც 26 მარტს თბილისში უნდა გამოიყენონ.

ქალმა ლატარიაში მილიონი დოლარი ორჯერ მოიგო

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის მცხოვრები ქალბატონი ათი წლის განმავლობაში ლატარიის წყალობით ორჯერ გახდა მილიონერი.

თებერვალში ლინდა სვინიმ ადგილობრივ მაღაზიაში მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მილიონი დოლარი მოხსნა. ლატარიის თამაშმა პირველად არ მოუტანა ამერიკელ ქალბატონს ასეთი მსხვილი მოგება. მან იგივე თანხა ათი წლის წინაც მოიგო.

ლატარიის წესების თანახმად, მოგებულს შეუძლია თანხა გადასახადების გადახდის შემდეგ ერთიანად მიიღოს, ან ნაწილ-ნაწილ. სვინიმ პირველი ვარიანტი ამჯობინა. გადასახადების გამოკლების შემდეგ მან 650 ათასი დოლარი მიიღო. იღბლიან ქალს არ დაუკონკრეტებია, თუ რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დასასაფლავებლად გამზადებული მოხუცი უკრაინელი „გაცოცხლდა“

83 წლის უკრაინელი ქალბატონი ქსენია დიდუხი მას შემდეგ „გაცოცხლდა“, როდესაც ის ნათესავებმა დასასაფლავებლად გაამზადეს.

უკრაინის ვინიცის ოლქში პენსიონერ ქალს 10 საათის განმავლობაში სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ექიმებმა პულსი და წნევა გაუზომეს, მაგრამ მოწყობილობები არაფერს აჩვენებდნენ. ექიმებმა მოხუც ქალს კარდიოგრამაც გაუკეთეს, რომელზეც მხოლოდ სწორი ხაზი გამოისახა. ექიმებმა ქალის ნათესავებს სანთლის დანთება ურჩიეს.

ნათესავებმა „გარდაცვლილის“ დასაფლავებისთვის მზადება დაიწყეს: შეუკვეთეს მიცვალებულის გასაპატიოსნებელი ლოცვები, ქელეხი, მესაფლავეებმა საფლავი ამოთხარეს. ამ დროს კი ქალმა სიცოცხლის ნიშანი გამოაჩინა. ექიმების თქმით, ქალმა ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. თავად ქალის თქმით, მისი მეუღლე ეკლესიაში დიაკვანია და სწორედ მისმა ლოცვებმა დაუბრუნა სიცოცხლე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური კომპანია; 14. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის, ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 20. ორსართულიანი ღაზური სახლი.

თარაზულად: 5. მეტისმეტად კომიკური ხალისიანი წარმოდგენა; 6. წვრილად დაჭრილი, შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 8. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 10. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 13. გერმანიის იმპერატორთა ტიტული; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. იღუმენი; 3. რეაქტორი; 4. აკვალანგი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. სტენტი; 11. მარაბდა; 14. ოფთამოლოგი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. პანედა; 19. რონალდუ; 21. განდი; 22. ლახტი.

თარაზულად: 1. გიორგობა; 5. წავი; 7. ნასერი; 9. ზურაბიშვილი; 10. რამზესი; 12. ესტრადა; 13. ვანდომი; 16. კადილაკი; 17. პაბი; 18. პრადა; 20. ჰომეროსი; 22. ლიანა; 23. კათედრა; 24. ცაცხვი; 25. დინგო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მოწამეთა; 2. კატაი; 3. პარიტეტი; 4. ზიდანი; 7. ცხუმი; 9. კბოდე; 12. ონომასტიკა; 14. კაზუსი; 15. აგევზია; 17. მაესტრო; 20. კოალა.

თარაზულად: 5. პოტომაკი; 6. ათანელი; 8. ახალუხი; 10. რუმინეთი; 11. მთიები; 13. კეიტონი; 16. ცერცვაძე; 18. კაკაო; 19. ვერდი; 21. ჰონსიუ; 22. დიასტოლა; 23. მეტრიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.7946
- ევრო — 3.0291
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6266
- 100 რუსული რუბლი — 4.2987

ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისთვის



28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მაია ბარათაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

მომღერალ მაია ბარათაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან. ვარსკვლავის გახსნამდე გაიმართება მომღერლის საიუბილეო კონცერტი სახელწოდებით „რესტარტი“ – გადატვირთვა.

3 მარტს თბილისის საკონცერტო დარბაზში მსმენელის წინაშე წარდგება მონაკოს, ნიუ იორკის, ვარშავის მუსიკალურ ფესტივალებზე საუკეთესო ვოკალისტად აღიარებული ქართველი მუსიკოსი მაია ბარათაშვილი.

ამ დღეს მომღერალი 50 წლის იუბილეს და 30-წლიან სასცენო მოღვაწეობას აღნიშნავს.

– როდესაც მაია ბარათაშვილი ბგერას იღებს, სამყარო იკუმშება, – აღნიშნა ბრიტანელმა კრიტიკოსმა ემი სპერლინგმა მაია ბარათაშვილის კონცერტზე დასწრების შემდეგ.

მაია ბარათაშვილი, უკვე 22 წელია, თბილისის მერიის ბიგ ბენდის პირველი სოლისტია. იგი მონტე კარლოს ჯაზის საერთაშორისო ორგანიზაციის ჯილდოს მფლობელი გახდა საუკეთესო ქალი მომღერლის ნომინაციაში, ნიუ იორკში ერთ-ერთ კონკურსში კი საუკეთესო ორეულში მოხვდა.

„ქართული ბრენდის“ ტიტულის მფლობელი იუბილეს კოლეგებთან ერთად აღნიშნავს.

შოუს დრამატურგიაზე ზრუნავს სცენარისტი მარინა საღუქვაძე.

მაია ბარათაშვილი:

– 3 მარტი – ჩემს დაბადების დღეს უკეთეს დღესასწაულს ვერც ვინატრებ. საოცარ მუსიკოსებთან ერთად გავიზიარებ სცენას ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ანეკდოტი

განცხადება მაღაზიაში:

– ყოველ მამაკაცს, რომელიც რვა მარტს მეუღლეს ტაფას უყიდის, საჩუქრად ჩაფხუტი მოჰყვება!

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– შენი მანქანა წესრიგშია?

– კი.

– საღამოს მომცემ?

– რა თქმა უნდა... და მანქანაზე რატომღა მკითხე?

•••

მოხუცი ქალი აფთიაქში გამყიდველს ეკითხება:

– შვილო, რამე პირღებინების საშუალება გაქვთ?

– დეპუტატების სურათები.

•••

ხალხით სავსე ავტობუსში მოხუცი ქალი მამაკაცს ეუბნება:

– ფრთხილად, კვერცხებს გაუფრთხილდით.

– ბებო, ასე ხალხით გადაჭედილ ავტობუსში კვერცხებით ხართ?

– კვერცხებით კი არა, ლურსმნებით...

•••

ქალი დილით სამსახურში თვალებჩალურჯებული მივიდა. ერთ-ერთი თანამშრომელი ეკითხება:

– რა მოგივიდა?

– ქმარმა მცემა!

– მე მეგონა, რომ შენი ქმარი მივლინებაში იყო.

– შენ გეგონა, მე კი დარწმუნებული ვიყავი!

იურგენ კლოპი: „მიზანთან ძალიან ახლოს ვართ“

ლივერპულმა ინგლისის ჩემპიონატში ზედიზედ მეთვრამეტე შეხვედრა მოიგო და მანჩესტერ სიტის რეკორდი გაიმეორა.

ამჯერად ლივერპულის მსხვერპლი ვესტ ჰემი გახდა, რომელსაც იურგენ კლოპის გუნდმა 3:2 მოუგო.

– რთული შეხვედრა გამოვიდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება შევძელით და ძალიან მიხარია, რომ მოგებების სერია არ შევწყვიტეთ. მიზანთან უკვე ძალიან ახლოს ვართ და მინდა, გულშემატკივარი ბედნიერი იყოს. ჩვენ სწორედ მათთვის ვთამაშობთ, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

27 ტურის შემდეგ ლივერპულს 26 მოგება და მხოლოდ 1 ფრე აქვს.

ზიდანი: „ედენ აზარი იმედგაცრუებულია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა მანჩესტერ სიტისთან შეხვედრაზე ისაუბრა და ედენ აზარის ტრავმასაც შეეხო, რომელიც მინიმუმ ორი თვე ვერ ითამაშებს.

ზიდანმა განაცხადა, რომ სიტისთან პირველ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო რაც შეეხება აზარს, ის ძალიან იმედგაცრუებულია:

– აზარი გაღიზიანებული და გაბრაზებულია და მისი ძალიან კარგად მესმის. მას სურდა, რომ გადამწყვეტ შეხვედრებში ეთამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმამ ხელი შეუშალა. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია და ვერაფერს შეცვლი.

კევინ დე ბრუინე: „რეალთან წაგების უფლება არ გვაქვს“

მანჩესტერ სიტის ერთ-ერთმა ლიდერმა კევინ დე ბრუინემ განაცხადა, რომ თუ სიტი რეალთან გამოვარდება, ამ გუნდს ევროპაში სერიოზულად აღარავინ შეხედავს, რადგან წინა წლებში სიტიმ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას ვერ მიაღწია.

ბელგიელი ვინგერის აზრით, ბევრი რამ პირველ შეხვედრაში გადაწყდება:

– გულშემატკივარი იმედით გვიყურებს და მას იმედი არ უნდა გავუცრუოთ. თუ ისევ წავაგეთ, ყველა იტყვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში არაფერი გამოგვდის და პატივისცემას არ ვიმსახურებთ, ამიტომ ეს არ უნდა მოხდეს.

დემბელე ზაფხულში ბარსელონიდან წავა?

ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ ზაფხულში, შესაძლოა, გუნდი დატოვოს, რადგან მისი მუდმივი ტრავმები სერიოზულად პრობლემად იქცა.

რამდენიმე კვირის წინ დემბელემ ოპერაცია გაიკეთა და ის სეზონის ბოლომდე გუნდს ვერ დაეხმარება, რის გამოც ბარსელონამ ახალი ფორვარდი იყიდა.

ამ ყველაფრის შემდეგ ბარსელონის ხელმძღვანელობა, თუ ზაფხულში სარფიან წინადადებას მიიღებს, დემბელეს გაყიდვაზე სერიოზულად ფიქრობს.

თემო საჯაია უნიკალური ძეგლის გადარჩენას ითხოვს

მომღერალი თემო საჯაია ისტორიულ-კულტურული სტატუსის მქონე უნიკალური ძეგლის გადარჩენას ითხოვს:

– ეს არის გერმანელების მიერ აშენებული სასტუმრო „ვეთცელის“, შემდგომში სასტუმრო „რუსთავის“ შენობა, რომელიც მდებარეობს აღმაშენებლის გამზირზე – უნიკალური არქიტექტურის მქონე ისტორიულ-კულტურული ძეგლი, რომელიც განადგურდა გიგი უგულავას მერობის პერიოდში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს. აღმაშენებლის გამზირზე კიდევ მრავალი ისტორიული შენობა გაანადგურეს ფასადური რესტავრაციის შედეგად!

ის, რაც დანგრეულია, აღარ გამოსწორდება, მაგრამ, იმედია, აღარასდროს მოვექცევით ბარბაროსულად ჩვენს ისტორიას!

მარსელოს, შესაძლოა, მართვის მოწმობა ჩამოართვან

მადრიდის რეალის მცველ მარსელოს, შესაძლოა, მართვის მოწმობა ჩამოართვან, რადგან მან რამდენიმეჯერ საგზაო წესები უხეშად დაარღვია, რის გამოც ქულათა ლიმიტი ამოწურა. მარსელოს მსგავსი პრობლემები ადრეც ჰქონდა, მაგრამ მაშინ ბრაზილიელი მხოლოდ 6 ათასი ევროთი დააჯარიმეს, ამჯერად კი საქმე უფრო სერიოზულად არის.

მარსელომ ბოლო პერიოდში რეალის ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი და, შესაძლოა, მან ეს გუნდი ზაფხულში დატოვოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 თებერვლისთვის

ვერძი – საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. ** კურო** – დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს. **კირჩხიბი** – მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ლომი** – ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება. კრიტიკული სიტუაციების ალბათობა იზრდება. **სასწორი** – ილუზიები, უნდობლობა, მოტყუება დღევანდელი დღის თანმდევია. ერიდეთ კომერციულ საქმიანობას. **ღრიანკალი** – ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი კამათი, საქმის გარჩევა მაქსიმალურად აიცილეთ თავიდან. ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **თხის რქა** – სერიოზული პროვოკაციებისთვის მზად იყავით. ასევე მოსალოდნელია რომანტიკული გატაცება. **მერწყული** – ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **თევზები** – დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. პრობლემების მოგვარებას რთულად, მაგრამ მაინც მოახერხებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

რეგიონ ფეშენ ვიკის ორგანიზატორი ინგა სიორიძე გარდაიცვალა

რეგიონ ფეშენ ვიკის ორგანიზატორი ინგა სიორიძე გარდაიცვალა.

მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მკურნალობის მიუხედავად, ინგა სიკვდილთან ბრძოლაში დამარცხდა.

ინფორმაცია დიზაინერმა გიორგი მასხულიამ გაავრცელა:

– რა დღე გამითენე ეს, რა გინდოდა, რა, რატომ ვერ მოერიე ამ ბრძოლას, შენ ხომ მებრძოლი იყავი, სად წახვედი?! არ მჯერა, ინგა, არ დავიჯერებ, შენ რომ აწი აღარ გამიღიმებ, ჩემო პოზიტიურო. ვერ ვეგუები, რომ ჩემ გვერდით აღარ ხარ, სიცარიელეს ვგრძნობ. ჩვენ ორნი ერთად ძალიან დიდი ძალა ვიყავით. მთელი დღეა, თვალებიდან ცრემლი ვერ მოვიცილე, ჩემო ლამაზო გოგო, მენანები ძალიან, ინგულია. რა ვქნა, რით დაგეხმარო, უძლური ვარ, ჩემო ძლიერო გოგო.

ლევან გელბახიანს ევროპის ამომავალი ვარსკვლავის ჯილდო გადასცეს



22 წლის ქართველ მსახიობ ლევან გელბახიანს ბერლინში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ევროპის ამომავალი ვარსკვლავის ჯილდო გადასცეს.

ლევანმა ეს ჯილდო მიიღო ლევან აკინის ქართულ-შვედურ ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ შესრულებული მთავარი როლისთვის. ამ როლით იგი 2020 წლის ევროპის ამომავალ ვარსკვლავთა საუკეთესო ათეულში შევიდა.

ლევან გელბახიანი სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის არაერთხელ დააჯილდოვეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 2. სამგზავრო ავტობუსების მწარმოებელი უნგრული ფირმა; 3. თავისუფალი, საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში, ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 6. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ირანის ძველი დედაქალაქი; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა; 21. ბრაზილიური ცეკვა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

თარაზულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 7. დედალი ცხენი; 9. ქართველი მგოსანი; 10. ფასის დაკლება პროდუქციაზე უხარისხობის გამო; 12. რაიმეს შესწავლა, გამოკვლევა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 13. დიდი წარმატება; 16. ჩრდილო ამერიკაში ბინადარი დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. მოხდენილი, ლამაზი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 20. ლითონზე ან ქვებზე შესრულებული ნახატი; 22. რამდენიმე ქვემეხის ან თოფის ერთდროული გასროლა; 23. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. არათვითმავალი სამდინარო სატვირთო გემი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა